



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 120

2016 წლის 5 დეკემბერი
ხაშური



ა(ა)იპ „ხაშურსერვისისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული ა(ა)იპ ხაშურსერვისი (ს.კ 443856908) განთავსებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხაშური, კოსტავას ქუჩა №7-ში მდებარე უძრავი ქონების მე-3 სართულზე არსებულ არასაცხოვრებელ ფართში (ს.კ 69.08.03.037.01.504) (ს.კ 69.08.03.037.01.505). მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ-ის დირექტორის 2016 წლის 2 ნოემბრის № 163 წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად მიაჩნია გადასცეს ა(ა)იპ ხაშურსერვისს აღნიშნული ობიექტები წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5, მე-6 პუნქტის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხაშური, კოსტავას ქუჩა № 7-ში არსებული 37 კვ.მ (ს.კ 69.08.03.037.01.504) და 36.40 კვ.მ (ს.კ 69.08.03.037.01.505) არასაცხოვრებელი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ ხაშურსერვისს (ს.კ 443856908).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე